

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის  
განჩინება (ოქმი)<sup>22</sup>**

23 დეკემბერი, 2005 წელი, თბილისი

სინოდის სხდომა გახსნა წმიდა სინოდის თავმჯდომარემ, მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

წმიდა სინოდმა იმსჯელა ბიბლიის სვანურად და მეგრულად თარგმნის მცდელობის შესახებ. აღინიშნა, რომ რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნის ბოლოს ხელოვნურად ინსპირირებული ეს ვერაგული იდეა გარკვეულ ძალებს სურთ, დღეს პრაქტიკულად განახორციელონ.

მოსახლეობას შევახსენებთ X საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორის, გიორგი მერჩულის სიტყვებს: "ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების" და 1790 წელს მეფე-მთავართა მიერ ხელმოწერილ "ივერიელთა ერთობის ტრაქტატს", სადაც ვკითხულობთ: "...ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკესა ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი"...

**განაჩინეს:**

დაუშვებელია ისტორიის გაყალბება - მეგრელებისა და სვანების მწიგნობრობისა და ქრისტიანული კულტურის არმქონეობად გამოცხადება და მათთვის XXI საუკუნეში ბიბლიის თარგმნა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ერის გათიშვას და ქვეყნის მთლიანობის დარღვევის მცდელობას.

<sup>22</sup> საპატრიარქოს უწყებანი, №45, 29 დეკემბერი, 2005 წ., 4 იანვარი, 2006 წ.